



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 212/ს
26/07/2022

212-21-4-202207261051



**დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარში, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს
ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობასა და
ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარში ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტის საცავის განთავსება დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარში, ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ №2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე (ს/კ: 71.62.60.174, ფართობი 15 000 მ²). ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების GPS კოორდინატებია: X-461262, Y-4697701; X-461268, Y-4697700; X-461263, Y-4697689; X-461258, Y-4697691. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 550 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. თეთრი არაგვი - 280 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სასაწყობო შენობის მოწყობა და მასში ნავთობპროდუქტის საცავის, კერძოდ, ერთი ცალი, ცილინდრული ტიპის, მიწისზედა რეზერვუარის (25 000 ლიტრი) განთავსება, რომელიც განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისთვის. ნავთობპროდუქტის საცავი აღიჭურვება სასუნთქი სარქველითა (სიმაღლე: 60 სმ; დიამეტრი: 3,5 სმ) და საწვავმარიგებელი სვეტით. საწვავის გაცემის წერტილი შემოფარგლული იქნება ბეტონის ზღუდით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბური და მოცულობითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. სასაწყობო

შენობის განთავსებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება 5-6 მ³ მოცულობის მქონე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და საძირკვლის მოწყობა, რისთვისაც გამოყენებული იქნება 15 სმ სისქის არმირებული რკინაბეტონის ფილა. შემდგომ ეტაპზე აიგება კედლები და სასაწყობო შენობა გადაიხურება მეტალოკრამიტით. შენობაში დიზელის საწვავის შესანახად განკუთვნილი რეზერვუარი განთავსდება სპეციალურ სადგარებზე და დაერთდება საწვავის ჩამსხმელ დგარზე, რომელიც მოეწყობა სასაწყობო შენობის სახურავზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტის საცავი მოემსახურება ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მომსახურე ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. ობიექტის სამუშაო რეჟიმი იქნება წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი, ხოლო წლიური ბრუნვა - 400 000 (400 მ³) ლიტრი დიზელის საწვავი. ნავთობპროდუქტის საცავის ტერიტორიაზე საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც დაერთდება საწვავის ჩამოსასხმელ დგარზე. ობიექტის ოპერირებას უზრუნველყოფს ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მომსახურე პერსონალი და გამოყენებული იქნება აღნიშნული სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, ნავთობპროდუქტის საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობისა და წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაზრდა მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტის საცავის განთავსება დაგეგმილად გადახურულ, მობეტონებულ შენობაში. ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტის შეკავების მიზნით, საწვავის გაცემის წერტილი შემოიფარგლება ბეტონის ზღუდით. ამასთან, დიზელის ავარიულად დაღვრის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ე.წ. აბსორბენტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სანიაღვრე და გრუნტის წყლების ნავთობპროდუქტით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელია როგორც ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების, ისე - ექსპლუატაციის ეტაპზე. ობიექტის მოწყობის პროცესში, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და მოცულობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია უმნიშვნელო ამტვერება. რაც შეეხება ნავთობპროდუქტის საცავის ფუნქციონირების ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ნახშირწყალბადების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება საწვავის მიღების, შენახვისა და გაცემისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, დაგეგმილი საქმიანობის წარმადობის (25 000 ლიტრი) და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის (550 მეტრი) გათვალისწინებით, იქნება უმნიშვნელო და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. ამასთან,

აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტის შესანახი რეზერვუარი განთავსდება დახურულ შენობაში, რაც შეამცირებს მასზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, შეზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, მოსალოდნელია მხოლოდ ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე. ობიექტის მოსაწყობად დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და მოცულობის გათვალისწინებით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტის საცავის ფუნქციონირების ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის ოპერირებას უზრუნველყოფს ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მე-2 ლოტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, №2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დასაქმებული პერსონალი, რომელიც ისარგებლებს სამშენებლო ბანაკის ინფრასტრუქტურით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაზრდა მოსალოდნელი არ არის, ხოლო ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტის შეკავების მიზნით გათვალისწინებულ ბეტონის ზღუდებში დაგროვილი ნარჩენები, დროებით დასაწყობდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების მიზნით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 5-6 მ³ მოცულობის მქონე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება, რაც განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად და შემდგომში გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია არსებული სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ობიექტის სიახლოვეს არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მსგავსი პროფილის ობიექტ(ები) არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაგზავნილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, მასშტაბის, სპეციფიკისა და საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზაქათკარში, შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო